ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N56

2023 წლის 31 აგვისტო

ქ. ქობულეთი

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ" ქვეპუნქტის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 24 აგვისტოს N114-1142323661 მომართვის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, მეგობრობის ქუჩა N42-ში მდებარე 2400,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.42.08.569) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 812 105 (რვაას თორმეტი ათას ას ხუთი) ლარის ოდენობით;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ქ. ქობულეთში, მეგობრობის ქუჩა N42-ში მდებარე 2400,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.42.08.569) განკარგვის მიზნით, იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი